საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-18/130

ქ. ბათუმი

30 ივლისი, 2019 წ.

ბსუს-ს 2019 წლის სტუდენტური საგანმანათლებლო პროექტის "სტუდენტები განვითარებისათვის "ხელმძღვანელისა და დამხმარე თანაშემწეებითვის პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N 02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანების, „2019 წლისათვის ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის N01-08/171 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 04 აპრილის №01-10/42 ბრძანების, საგანმანათლებლო პროექტის "სტუდენტები განვითარებისათვის" ხელმძღვანელის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მე-3 სასწავლო წლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ დავით ბალაძის 2019 წლის 19 და 26 ივლისის N970195, N989824 განცხადებებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვან სპეციალისტ გოჩა სურგულაძის 2019 წლის 29 ივლისის MES 4 19 00994094 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების“ კონკურსში გამარჯვებული საგანმანათლებლო პროექტის "სტუდენტები განვითარებისათვის'' ხელმძღვანელზე და დამხმარე თანაშემწეებითვის გაიცეს ბიუჯეტით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება:

ა) პროექტის ხელმძღვანელს- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ დავით ბალაძეს - 261.25 (ორას სამოცდაერთი და ოცდახუთი) ლარი;

ბ) პროექტის დამხმარე თანაშემწეს - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ არჩილ ბერიძეს - 140 (ას ორმოცი) ლარი;

ბ) პროექტის დამხმარე თანაშემწეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ თამუნა ბერიძეს - 140 (ას ორმოცი) ლარი.

გ) პროექტის დამხმარე თანაშემწეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ხატია ბერიძეს - 140 (ას ორმოცი) ლარი.

დ) პროექტის დამხმარე თანაშემწეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ლინდა ჯაფარიძეს - 140 (ას ორმოცი) ლარი.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებს, დავით ბალაძეს, არჩილ ბერიძეს, თამუნა ბერიძეს, ხატია ბერიძეს, ლინდა ჯაფარიძეს(უზრუნველყოს ჩაბარება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი